გამარჯვების მიუხედავად...

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 1 ოქტომბერი.

“ტორპედო” (ქუთაისი) – “დინამო” (თბილისი) – 2:1 (1:1).

“ტორპედო”: გოგია, ჩხაიძე, წვერავა, აბზიანიძე, ჭოხონელიძე, ანფიმიადი, ნაჭყებია, ერქომაიშვილი, ოქროპირაშვილი, სანაია, ვეკუა.

“დინამო”: სტეფანია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ჭელიძე, ილიადი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი (მაჩაიძე), გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი: ი. პონომარიოვი (კიშინიოვი).

დუბლიორები – 2:1 დინამოელთა სასარგებლოდ.

ამ მატჩში დინამოელები უფერულად და ინერტულად თამაშობდნენ. მათი სამოქმედო უბანი ძირითადად მინდვრის შუაგულით შემოიფარგლებოდა. მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნისკენ იშვიათად გაიჭრებოდნენ ძმები ნოდიები, ასათიანი, მეტრეველი, მაგრამ მათ მიერ ფლანგებიდან ჩაწოდებულ ბურთს რიცხობრივი უპირატესობის გამო “ტორპედოს” მცველები ეუფლებოდნენ. და სწორედ აქედან, წვერავას თაოსნობით იწყებოდა გაცილებით უფრო გეგმაზომიერი, გამიზნული შეტევები. ამიტომ იყო რომ ტორპედოელებმა “დინამოს” კარის საიმედოობა მატჩის პირველივე წუთებში რამდენიმეჯერ მოსინჯეს. სტეფანიამ ჯერ სანაიას ძლიერი ბურთი აიღო, შემდეგ კი ვეკუას მიერ ახლოდან დარტყმული ბურთი კუთხურზე მოიგერია. პირველი გოლი მაინც დინამოელებმა გაიტანეს: ერთ-ერთი კონტრშეტევისას მეტრეველმა საუკეთესო პოზიციაში გაიყვანა გ. ნოდია, რომლის ზუსტი დარტყმით გაიხსნა კიდეც ანგარიში. ეს მოხდა მე-14 წუთზე.

ამის შემდეგ ტორპედოელებმა, რომლებსაც უკან დასახევი გზა აღარ დარჩენოდათ, იერიში უფრო გააძლიერეს. 22-ე წუთზე სტეფნიას პირისპირ გასულ სანაიას თბილისელთა მეკარე ფეხებში ჩაუვარდა და აშკარა გოლისგან იხსნა თავისი გუნდი. 28-ე წუთზე დინამოელთა კარისკენ საჯარიმო დაინიშნა. ერქომაიშვილმა ბურთი კარგად ჩააწოდა წვერავას, რომლის უძლიერესმა დარტყმამ მიზანს მიაღწია: ანგარიში გათანაბრდა.

ტორპედოელებს პირველი ნახევრის დარჩენილ დროშიც ჰქონდათ გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ სტეფანია მუდამ მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

“ტორპედომ” მაინც მიაღწია საწადელს: 55-ე წუთზე ნაჭყებიამ მოულოდნელად დაარტყა მეტოქის კარში და სტეფანიამ მხოლოდ ის შეძლო, რომ შორეული კუთხისკენ მიმავალ ბურთს თვალი გააყოლა.

მატჩის დარჩენილი დრო ორმხრივი იერიშებით აღინიშნა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

გამარჯვების მიუხედავად, ქუთაისელთა მდგომარეობა სატურნირო ცხრილში ერთობ უიმედოა.

შ. ნიჟარაძე. (ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო” 3 ოქტომბერი, 1970 წ.